

სტერეოტიპები ფსიქოლოგების შესახებ

სოფიო ყირიმელი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო ყირიმელი

26. 06. 2019 წელი

აბსტრაქტი

ყველა პროფესიის ადამიანია დაინტერესებული საკუთარი პროფესიული იმიჯით და გამონაკლისი არც ფსიქოლოგები არიან. მათ, ჯერ კიდევ მაშინ დაიწყეს ამ თემაზე ფოკუსირება, როდესაც დაახლოებით ასი წლის წინ ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია ყალიბდებოდა. მას შემდეგ, არაერთი კვლევა ჩატარდა ამ მიმართულებით.

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ფსიქოლოგების მიმართ არსებული წარმოდგენები სტერეოტიპის შინაარსის მოდელის მიხედვით, რომელიც მოიცავს ორ განზომილებას - სითბოს და კომპეტენტურობას. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 129 ფსიქოლოგიის სპეციალისტის სტუდენტმა. მათ საკუთარი და საზოგადოების მხრიდან აღქმული დამოკიდებულებები ფსიქოლოგების შესახებ დააფიქსირეს ფისკეს სტერეოტიპის შინაარსის მოდელის საკვლევ კითხვარზე. კვლევით დადგინდა, რომ მათ ფსიქოლოგების მიმართ გააჩნიათ დადებითი დამოკიდებულებები, როგორც სითბოს, ასევე კომპეტენტურობის თვალსაზრისით. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ისინი თავად უფრო დადებითად აღიქვამენ ფსიქოლოგებს, ვიდრე ფიქრობენ, რომ საზოგადოება აღიქვამს მათ. ნაშრომში ასევე საუბარია და ნაკვლევა ფსიქოლოგიის მიმართ არსებული ცრუ წარმოდგენები და ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების მიმართ არსებული შეხედულებები. წარმოდგენილი კვლევის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ ფსიქოლოგ სტუდენტებს გააჩნიათ ცრუ წარმოდგენები ფსიქოლოგიური სახის დებულებების შესახებ და ისინი საშუალო ქულით აფასებენ ამ დებულებებს. ამავდროულად, უცხოური კვლევების შედეგებისგან განსხვავებით, ისინი უფრო მეტად აღიქვამენ ფსიქოლოგიას, როგორც მეცნიერებას.

კვლევა აქტუალურია და ასახავს ფსიქოლოგიის მიმართ არსებულ თანამედროვე ტენდენციებს. განსაკუთრებით საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს ნაშრომი მათთვის, ვინც ფსიქოლოგიის დაუფლებას აპირებს ან ჩართულია ფსიქოლოგიის და მისი სხვადასხვა მიმართულების სწავლების საქმეში.

საძიებო სიტყვები: ფსიქოლოგები, სტერეოტიპის შინაარსის მოდელი, ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, ცრუ წარმოდგენები.

Abstract

Every person is interested in his/her own professional image, among them there are psychologists as well. They were focused on this topic even about hundred years ago, when American Psychologists Association had been forming. Many studies have been conducted in this direction since then.

A variety of beliefs and attitudes towards psychologists are discussed in the given paper. These beliefs are tested within the stereotype content model (SCM), which has two dimensions: warmth and competence. 129 psychology course students participated in the study. They reported their own and society's perceived attitudes toward psychologists through the questionnaire of Stereotype Content Model by Susan Fiske. As a result, they had positive attitudes in both - warmth and competence dimensions. Although, not surprisingly, it was discovered that they perceived psychologists in much more positive way, than they thought they were perceived by society. Besides stereotypes, misconceptions towards psychology and perception of psychology as a science are analyzed in the paper. According to the research it appeared that psychology students carry misconceptions about psychology and they value them with medium scores. Additionally, in contrast with foreign students, Georgian students perceive psychology more as a science.

The current paper shows actuality of the topic and presents modern tendencies of image and attitudes towards psychology. The study might appear especially interesting for those who tend to master psychology or are involved in teaching different aspects of this discipline.

Key words: psychologists, stereotype content model, psychology as science, misconceptions